ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 61

ქ. ჯვარი 30 მაისი 2018 წელი

შემსყიდველი: სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, წარმომადგენელი მისი - დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით.
მისამართი: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ № 2.
ტელ: 595 50 67 32
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22.
საიდენტიფიკაციო კოდი - 242728679;

მიმწოდებელი: შპს „ბი ემ სი გორგია“- წარმომადგენელი მისი - ლაშა გვაჯაია სახით.
მისამართი - ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. № 10;
ტელ: 591 91 09 63.
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, კოდი: TBCBGE22;
ანგ № GE62TB1007536020100008

საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288

ერთის მხრივ, „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1] ” ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2.“ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3.“დღე“,“კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.“შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.“მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც, ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.“საქონელი“ - ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფილამწყობის ჯგუფისათვის საჭირო მასალის შესყიდვა (CPV-03400000; CPV-24500000; CPV-24900000; CPV-31200000; CPV-31500000; CPV-33100000; CPV-42100000; CPV-44100000; CPV-44600000;) , რომლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი № 1 ცხრილში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 3 041,65 (სამი ათას ორმოცდაერთი ლარი და 65 თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დაგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. დაფინანსების წყარო: 2018 წლის ვაუჩერული დაფინანსება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი .

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1.. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე;

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს დირექტორი ან მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. .

8.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათავლისწინებული ვალდებულებებისაგან.

9 . ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%- ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.4. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში 2018 წლის 30 მაისიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

14.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა' -ს	**შპს „ბი ემ სი გორგიას" –ს წარმომადგენელი**
დირექტორის მ/შ: თეანა ქუხილავა	**ლაშა გვაჯარია**
---	---

სსიპ პროფესიული კოლეჯი "ლაკადა"

დანართი № 1

№ რიგზე	დასახელება	CPV - კოდი	საზომი ერთეული	რაოდენობა	მინიმალური ფასი	სულ ჯამი
	3400000					
1	გამჭირვალე ლაქი	3422000	ცალი	3	7.20	21.60
						21.60
	24900000					
1	გერმეტიკი თეთრი	24951120	ცალი	3	3.90	11.70
						11.70
	24500000					
1	სილიკონი	24590000	ცალი	1	8.40	8.40
						8.40
	31200000					
1	ფოტო რელე	31221000	ცალი	3	**9.60**	**28.80**
2	ამომრთველები	31211310	ცალი	3	**19.30**	**57.90**
						86.70
	31500000					
1	პროჟექტორი	31518100	ცალი	3	**78.00**	**234.00**
						234.00
	33100000					
1	პირველადი დახ ნაკრები	33141623	ცალი	1	**32.00**	**32.00**
2	პირველადი დახ ნაკრები	33141623	ცალი	1	**44.00**	**44.00**
						76.00
	42100000					
1	ბურთულა ვენტილი 20 მმ	42130000	ცალი	4	**5.20**	**20.80**
2	ბურთულა ვენტილი 32 მმ	42130000	ცალი	2	**11.90**	**23.80**
3	დუში სამაგრით	42130000	ცალი	1	**12.10**	**12.10**
4	ბიდეს შემრევი ონკანი	42130000	ცალი	1	**28.60**	**28.60**
5	ონკანი 5017	42130000	ცალი	1	**24.70**	**24.70**
6	სამზარეულოს შემრევი	42130000	ცალი	1	**22.50**	**22.50**
7	ხელსაბანის შემრევი	42130000	ცალი	1	**26.70**	**26.70**
8	აბაზანის შემრევი	42130000	ცალი	1	**43.00**	**43.00**
9	უკუსარქველი ენით 1/2	42131146	ცალი	3	**11.70**	**35.10**
10	უკუსარქველი ენით 1*1/4	42131146	ცალი	3	**20.50**	**61.50**
11	ბურთულა ვენტილი	42130000	ცალი	1	**32.50**	**32.50**
						331.30
	44100000					
1	მუხლი 20 მმ 90	44134000	ცალი	50	0.25	12.50
2	მუხლი 20 მმ 45	44134000	ცალი	50	0.30	15.00
3	მუხლი 32 მმ 90	44134000	ცალი	50	0.70	35.00
4	მუხლი შ/ხ 20-1/2	44134000	ცალი	22	2.10	46.20
5	მუხლი გ/ხ 20 - 1/2	44134000	ცალი	22	2.60	57.20
6	ქურო 20 მმ	44165300	ცალი	50	0.22	11.00
7	ქურო 32 მმ	44165300	ცალი	40	0.40	16.00
8	ქურო ჩამხსნელით შ/ხ 32-1	44165300	ცალი	11	9.50	104.50
9	ქურო ჩამხსნელით გ/ხ 32-1	44165300	ცალი	11	11.00	121.00
10	ქურო ჩამხსნელით გ/ხ 20-1/2	44165300	ცალი	11	4.90	53.90
11	ქურო ჩამხსნელით შ/ხ 20-1/2	44165300	ცალი	11	5.00	55.00
12	სამკაპი 20 მმ	44165300	ცალი	50	0.35	17.50
13	სამკაპი 32 მმ	44165300	ცალი	50	1.20	60.00
14	ქურო გ/ხ 20-1/2	44165300	ცალი	22	2.45	53.90
15	ქურო გ/ხ 32-1	44165300	ცალი	25	7.05	176.25

16	მუხლი 20 მმ 45	44134000	ცალი	50	0.30	15.00
17	მუხლი 20 მმ 90	44134000	ცალი	50	0.25	12.50
18	მუხლი 32 მმ 90	44134000	ცალი	50	0.70	35.00
19	პლ. მილის ფიტინგი (მუხლი) 32*45	44134000	ცალი	50	0.75	37.50
20	პლ. მილის ფიტინგი (მუხლი) 32*45	44134000	ცალი	50	0.75	37.50
21	მილი 50*1000 (3.2 მმ)	44163100	ცალი	8	2.40	19.20
22	საკანალიზაციო მილი 100*2000	44163100	ცალი	8	11.75	94.00
23	საკანალიზაციო მილი 100*1000	44163100	ცალი	4	5.95	23.80
24	საკანალიზაციო მილი 100*1000	44163100	ცალი	10	5.95	59.50
25	საკანალიზაციო მილი 100*1000	44163100	ცალი	1	5.95	5.95
26	საკანალიზაციო მილი 100*500	44163100	ცალი	8	2.10	16.80
27	საკანალიზაციო მილი 50*2000	44163100	ცალი	8	4.40	35.20
28	საკანალიზაციო მილი 50*500	44163100	ცალი	8	0.85	6.80
29	მილი 110/300 1.8 მმ	44163100	ცალი	3	3.25	9.75
30	ქურო 100 მმ	44163100	ცალი	3	2.95	8.85
31	მუხლი 100 მმ 90 გრ	44163100	ცალი	3	3.15	9.45
32	მუხლი 100 მმ 45 გრ	44163100	ცალი	3	2.45	7.35
33	სამკაპი 100*100 90 გრ	44163100	ცალი	3	4.45	13.35
34	ჯვარედინი 100*100 90 გრ	44163100	ცალი	2	13.00	26.00
35	გადამყვანი 100-50	44163100	ცალი	3	2.55	7.65
36	მუხლი 50 მმ 90	44163100	ცალი	3	1.00	3.00
37	ქურო 50 მმ 90	44163100	ცალი	3	1.35	4.05
38	სამკაპი 50*550 90	44163100	ცალი	3	1.65	4.95
39	ჯვარედინი 50*50 90 გრ	44163100	ცალი	3	3.55	10.65
40	რევიზია 100 მმ	44163100	ცალი	2	8.70	17.40
41	დრეკადი შლანგი 1/2-1/2 50სმ	44163100	ცალი	4	4.60	18.40
42	დრეკადი შლანგი 1/2-1/2 45სმ	44163100	ცალი	4	4.30	17.20
43	დრეკადი შლანგი 1/2-1/2 30სმ	44163100	ცალი	4	3.50	14.00
44	ლურსმანი 60*2.8 მმ	44192200	კგ	1.002	3.28	3.29
45	ლურსმანი 50*2.5 მმ	44192200	კგ	1.004	3.28	3.29
46	ლურსმანი 70*3.0 მმ	44192200	კგ	1.006	3.28	3.30
47	ლურსმანი 25*1.8 მმ	44192200	კგ	1.006	3.65	3.67
48	ცემენტი ჰაიდელბერგ 50. კგ	44111200	ცალი	5	10.90	54.50
49	წებო ცემენტი 25 კგ	44111200	ცალი	5	12.90	64.50
50	წებო ცემენტი 25 კგ	44111200	ცალი	3	12.90	38.70
51	კაფელი	44111900	მ 2	6	13.90	83.40
52	კაფელი	44111900	მ 2	4.031	14.50	58.45
53	კაფელი	44111900	მ 2	6	13.90	83.40
54	სიფონი 32 მმ	44165100	ცალი	2	1.95	3.90
55	სიფონი 110/500 მმ	44165100	ცალი	2	5.90	11.80
56	ფუგა თეთრი	44111200	ცალი	2	6.60	13.20
57	მილი 20 მმ	44163100	ცალი	22	4.80	105.60
58	მილი 32 მმ	44163100	ცალი	20	13.60	272.00
59	მინამოჭკოვანი მილი 32 მმ	44163100	ცალი	2	20.00	40.00
60	საკანალიზაციო მილი 100*1000	44163100	ცალი	1	5.95	5.95
61	სამკაპი 50*50 90	44163100	ცალი	3	1.65	4.95
						2259.65
		44600000				
1	ფანარი	44619100	ცალი	3	4.10	12.30
						12.30
						3041.65

სამი ათას ორმოცდაერთი ლარი და 65 თეთრი

სსიპ პროფესიული კოლეჯი "ლაკადა"

წარმომადგენელი: /თეანა ქუხილავა/

შპს "ზი ემ სი გორგია"

წარმომადგენელი: /ლანა გვაჯავა/